დანართი №2

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნინო ვასაძე
წევრი: თეა ნარეკლიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------ნ.ვასაძე---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 406056173

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 6 ივნისის N632169 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: თავმჯდომარე - ნინო ვასაძე, წევრი - თეა ნარეკლიშვილი დაევალა ვიზიტი შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში, მისამართი: ქ. საჩხერე, ივ.გომართელის ქ. #50ა, #52, მიმდინარე წლის 26 ივნისს, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით. ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია: საგანმანათლებლო პროგრამა, სამართლებრივი დოკუმენტაცია, რომლითაც რეგულირდება აკადემიის საქმიანობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი დაწესებულებასთან. ვიზიტის დროს გავესაუბრეთ აკადემიის რექტორს, ხარისხის მართვის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, ბიბლიოთეკარს, პროგრამის ხელმძღვანელს, პედაგოგებს. დავათვალიერეთ მატერიალური რესურსი-A-C გარემო, B გარემო,ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და წიგნადი ფონდი, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის" მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ვიზიტის მიმდინარეობისას დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა დაწესებულებიდან, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------ნ.ვასაძე---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

პროფესიულ სტუდენტთა თეორიული კომპონენტის შეფასებისათის აკადემიას შესყიდული აქვს და იყენებს ელექტრონულ პლატფორმას https://www.bta.edu.ge/ge/posts/details/23/sagamotsdo-sivrtse. საგამოცდო სივრცეში ავტორიზაციისთვის დაყენებულია მრავალდონიანი დაცვის სიტემა; მკაცრად კონტროლდება პროფესიულ სტუდენტთა აიპი მისამართები; პროგრამა იძლევა საშუალებას სწავლის შედეგის დადასტურების, პროფესიული სტუდენტისათვის საკუთარი შედეგის კონფიდენციალურობის დაცვით გაცნობის, ასევე გამჭირვალობის და სამართლიანობის დაცვის საშუალებას. შეფასების დაწყების წინ სისტემაში გამოდის შეფასების პროცესისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია(პირობები,დრო,აპელაციის პროცედურა და სხვ); პროგრამა „შემთხვევითი შერჩევითი პრინციპის“ დაცვით ალაგებს საკითხებს (ყველა პროფესიულ სტუდენტს მისდის განსხვავებული ნუმერაციით შეკითხვა) და ცვლის დისტრაქტორების თანმიმდევრობას; თუ პროფესიული სტუდენტი ვერ დაასრულებს გამოცდას, თუ რომელიმე კითხვა დარჩა პასუხგაუცემელი, შეუძლია დაუბრუნდეს მას და დაასრულოს ნაშრომი; დასრულების შედგომ მას ეკრანზე გამოსდის შეტყობინება დაადასტურა თუ არა აღნიშნული მოდული/სწავლის შედეგი და სწორი პასუხების რამდენი პროცენტი დააგროვა , ასევე აჩვენებს მის მიერ დაშვებულ შეცდომებს .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------ნ.ვასაძე---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაციები არ გაცემულა.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

დაწესებულებამ 2024 წლის 26 ივლისის #9310 კორესპოდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა შეფასებები და დასკვნის პროექტში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები. შესაბამისად, დასკვნის პროექტში მოცემული შეფასებები დარჩა უცვლელად.

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვთი ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	14.05.2024; #2/55 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. საჩხერე, ივ.გომართელის #50, #52.
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	50 კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს დანართი 4-ით წარმოდგენილი აქვს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი. პროგრამა თანხვედრაშია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველ მიზნის პირველივე ამოცანასთან, განავითაროს საგანმანათლებლო მომსახურება და შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე გააფართოოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრი. დაწესებულებას ასევე გაანალიზებული აქვს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები, გამოკითხული ჰყავს სხვადასხვა მცირე და დიდი საწარმოეები, რითაც დასტურდება რომ შრომის ბაზარზე აღნიშნული პროფესია მოთხოვნადია. პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა გამყარებულია იმითაც, რომ საქართველოში შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვა და ეფექტური შრომის ინსპექციის ამოქმედება სავალდებულოა და ქვეყანაში მოქმედი ყველა საჯარო თუ კერძო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

დაწესებულება კანონმდებლობის თანახმად ვალდებულია ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გარემოსდაცვითი ასპექტების გათვალისწინებაც მოთხოვნილია ყველა საწარმოსა თუ დაწესებულების ფუნქციონირებისას. დასაბუთებისას, აკადემიის მიერ ხაზგასმულია, რომ კვლევების მიერ გამოკვეთილია ორივე მიმართულებით კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, რაც შესაბამისობაშია რეალურ მდგომარეობასთან. აქედან გამომდინარე, დაწესებულების მიერ პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა ნათლად და არგუმენტირებულადაა დასაბუთებული და შეესაბამება აკადემიის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2024 წლის 14 მაისის #2/55 ბრძანებით დამტკიცებული შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვილითი ტექნოლოგიების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალეა, შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით მოთხოვნილ წინაპირობასთან. კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რითიც ის უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიულ პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, რომელიც თანხვედრაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N 42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებთან“. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. აკადემიას შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი, რომელიც დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით. აღნიშნული წესის მე-5 მუხლი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------ნ.ვასაძე---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

და მოიცავს შემდეგ კრიტერიუმებს: სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას (A, B, C სასწავლო გარემოს მიხედვით), პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის სტუდენტების რაოდენობას (პრაქტიკის ობიექტების მიხედვით). აკადემიამ ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიიდან გამომდინარე წარმოადგინა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება, რომლის შესაბამისად განისაზღვრა 50 პროფესიული სტუდენტი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. აკადემიის რექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით დამტკიცებული „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამა დანართის სახით მოიცავს სასწავლო რესურსების და აღჭურვილობის ჩამონათვალს, რომელიც სრულ თანხვედრაშია ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო საგანმანათლებლო რესურსთან. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. პროგრამას არჩევითი მოდულები არ აქვს.

6. აკადემიას შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი, რომელიც დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით. მესამე მუხლში გაწერილია პროგრამის შემუშავების და დამტკიცების პროცედურები, რომლის თანახმადაც პროგრამის დამტკიცება ხდება აკადემიის რექტორის მიერ სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის წარდგინებით ან/და სამუშაო ჯგუფის ოქმის საფუძველზე. „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამა აკადემიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------ნ.ვასაძე---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

დირექტორს წარედგინა აკადემიის რექტორის 2024 წლის 24 აპრილის #2/46 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2024 წლის 13 მაისის #20 ოქმით და დამტკიცდა აკადემიის რექტორის 2024 წლის 14 მაისის #2/55 ბრძანებით. აკადემიის წესდების მე-10 მუხლის 3 პუნქტის საფუძველზე აკადემიის ხელმძღვანელი პირი იგივე რექტორი ამტკიცებს პროფესიულ და სხვა ტიპის საგანმანათლებლო პროგრამებს/მოდულებს და უფლებამოსილია გამოსცეს შესაბამისი აქტები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის - „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ საფუძველზე და კვალიფიკაცია ფორმულირებულია შემდეგნაირად - შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები. ექსპერტთა მიერ გაანალიზდა სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგები და მათი შეფასებით, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

8. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის მესამე მუხლში გაწერილია პროგრამის შემუშავების და დამტკიცების პროცედურები, აღნიშნულის საფუძველზე აკადემიის რექტორი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაამტკიცოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. აკადემიის რექტორის 2024 წლის 14 მაისის #2/55 ბრძანებით დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამაში განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------ნ.ვასაძე---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

შესაძლებლობები, პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები სწავლის შედეგები, ინფორმაცია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების, კრედიტების და პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, ჩანაწერები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების თაობაზე და პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და პროფესიული მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების დაცვითა და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის მითითებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 120 კრედიტია, პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 150 კრედიტს. შესაბამისად, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ დაწესებულების მისია ;
- ✓ პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- ✓ სტრატეგიული განვითარების გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“;
- ✓ 2024 წლის 14 მაისის N 2/55 ბრძანება პროგრამის დამტკიცების შსახებ
- ✓ ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“;
- ✓ ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ მისაღებ სტუდენტთა ქვოტის დასაბუთება;
- ✓ აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ✓ აკადემიის წესდება;
- ✓ ინტერვიუს შედეგები დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------ნ.ვასაძე---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტისას განხორციელდა პროგრამის მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება. ინტერვიურება განხორციელდა პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების განმახორციელებელ პირებთან. აგრეთვე პრაქტიკის განმახორციელებელ პირთან. ექსპერტების მხრიდან განხორციელდა სასწავლო გარემოსა და ინფრასტრუქტურის დათვალიერება. საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია A; B და C სასწავლო გარემო: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" -სთვის განსაზღვრულ **A გარემოში** განთავსებულია - 25 მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების სტუდენტისთვის, ასევე მასწავლებლისთვის განთავსებულია ერთი მაგიდა, სკამი, ინტერნეტში ჩართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

კომპიუტერი და დაფა; 1 ცალი დემონსტრირების საშუალება. კოლეჯი მიღებას გამოაცხადებს წელიწადში 2-ჯერ, თითო მიღებაზე გეგმავს 25 მსმენელის ჩარიცხვას. სწავლა განხორციელდება შემუშავებული ცხრილის მიხედვით 2 ჯგუფად, თვითოეულ ჯგუფში იქნება 25-25 პროფესიული სტუდენტი. ვიზიტისას ვიზუალურად შეფასდა აღნიშნული გარემო და მატერიალური რესურსი. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, A გარემოში სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს შეუფერხებლად. B გარემო განკუთვნილია კომპიუტერული პროგრამების ასათვისებლად 25 პროფესიულ სტუდენტზე, აქვე დაწესებულების წარმომადგენელის მხრიდან აღინიშნა და ვიზუალურადაც დაფიქსირდა, რომ B გარემოში შესაძლებელია კიდევ განთავსდეს კომპიუტერული მოწყობილობები და გარებოში ერთდროულად იქნან დაშვებულნი 25 სტუდენტზე მეტი. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, B გარემოშიც სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს შეუფერხებლად. ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ გარემო უზრუნველყოფილია კომპიუტერებით როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. C გარემოს სივრცე პრაქტიკული მეცადინეობების განსახორციებლად მოწყობილია შენობის პირველ სართულზე. გარემო განკუთვნილია “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროგრამისთვის. დათვალიერებისას დადგინდა, რომ სასწავლო გარემო შესაბამისად არის აღჭურვილი უსაფრთხოების ყველა საჭირო მოწყობილობებით და დანადგარებით, განთავსებულია მულაჟები, სხვადასხვა მზომი ხელსაწყოები და თვალსაჩინოებისათვის პლაკატები, ფლებჩატის დაფა და ინდივიდუალური დაცვის სისტემები. ასევე აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესში პრაქტიკა განხორციელდება ხელშეკრულების ფარგლებში პრაქტიკის ობიექტზეც, სადაც არსებული რესურსი მთლიანად უზრუნველყოფს მსმენელთა ხარისხიან და სრულფასოვან სწავლებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ვიზუალური დათვალიერების შედეგად გარემო გამტარუნარიანია მოთხოვნილ სწავლის პირობებში და **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ: პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის - 19. მათ შორის 12 არის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი. პირადი საქმეებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------ნ.ვასაძე---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

დასტურდება მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვა არ ეწინააღმდეგება ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსს“, კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით, მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და ითვალისწინებს საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. კერძოდ: დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტის ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ“ მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ განსახორციელებელი მოდულების სახელწოდებები. დაწესებულების მიერ ვიზიტის დროს მოწოდებულ იქნა პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტებით მათ უდასტურდებათ დარგის შესაბამისი კომპეტენცია. პროფესიული განათლების მასწავლებელთა ნაწილს აქვს მოდულური პროგრამების სწავლების გამოცდილება. მათ ძირითად პროფესიებთან ერთად ასევე გავლილი აქვთ შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამა და ჩაბარებული აქვთ სასერთიფიკატო გამოცდები შრომის დაცვისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების კუთხით. კოლეჯის ხარისხის სამსახური სისტემატიურად ატარებს შეხვედრებს/სწავლებას საჭიროების მიხედვით. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ კოლეჯს ყავს ახალი პროფესიული განათლების მასწავლებლებიც, რომლებიც ასევე გაივლიან ტრენინგებს/მომზადებას სწავლის შედეგების გამომუშავებასა და შეფასების მიმართულებით. დაწესებულებას პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შრომის კანონმდებლობის პირობების გათვალისწინებით. პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------ნ.ვასაძე---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დადასტურდა მისი პირადი საქმითა და ინტერვიუთი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობები განსაზღვრულია თანამდებობრივი ინსტრუქციის (https://www.bta.edu.ge/storage/documents/1718827669.pdf) საფუძველზე. გასაუბრებისას პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ კარგად იცნობს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს. ასევე ინტერვირებისას გამოიკვეთა, რომ იგი თავადაც უზრუნველყოფს წარჩინებული კურსდამთავრებულის დასაქმებაც, რაც ექსპერტთა აზრით მისასალმებელია. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. კვალიფიციური ბიბლიოთეკარი ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის მოხმარების აღრიცხვას, ივსება მკითხველის ბარათები, რითაც დასტურდება სასწავლო პროცესში საგანმანათლებლო რესურსის გამოყენების ფაქტი. დაწესებულება ინტენსიურად იყენებს სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (matsne.gov.ge), რომელთანაც გაფორმებული აქვთ ხელშეკრულება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. დაწესებულებას აქვს მზაობა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს წვდომა ჰქონდეთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელი დებულებით გაწერილია სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები შშმ სტუდენტისთვის, საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას. ბიბლიოთეკართან ინტერვიუ ადასტურებს იმას, რომ დაწესებულებას საჭიროების შემთხვევაში აქვს მზაობა მოახდინოს სასწავლო რესურსების ადაპტირება. აკადემიის საბიბლიოთეკო სერვისები იძლევა შესაძლებლობას მკითხველმა ადგილზე წაიკითხოს სახელმძღვანელო, გააკეთოს ცალკეული გვერდების ასლები ან ამობეჭდოს მისთვის სასურველი მასალა, მისთვის ხელსაყრელი ზომის შრიფტის გამოყენებით (გადიდებული ასოები ხელს უწყობს მცირე მხედველთათვის ტექსტის უკეთ აღქმას); საჭიროების შემთხვევაში აკადემიის ბიბლიოთეკა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების ვიზუალურ ან შინაარსობრივ ადაპტირებას. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. პროგრამა ფინანსურად მდგრადია, პროგრამის განაცხადს თან ახლავს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელშიც განსაზღვრულია როგორც შემოსავლები ისე ხარჯები. რენტაბელურობის ზღვარი არის 18 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 50 პროფესიულ სტუდენტს. შესაბამისად, დაწესებულების შემოსავალი აღნიშნულ პროგრამაზე იქნება ხარჯზე მაღალი. შესაბამისად, **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- ✓ მატერიალური რესურსის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ✓ ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიქეტებთან;
- ✓ პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- ✓ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ;
- ✓ ვიზუალური დათვალიერება;
- ✓ გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------ნ.ვასაძე---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

6. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის N2/13 ბრძანებით (31.01.2022)აკადემიას დამტკიცებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელსაც მუშაობის დროს ეყრდნობა ხარისხის მართვის სამსახური. ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ყველა ძირითადი პროცესი ექვემდებარება ყოველწლიურ შეფასებას. ხარისხის მართვის სამსახური პროგრამების შემოწმებისას ახორციელებს: პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლის, პროფესიული სტუდენტის, პრაქტიკის ობიექტის (არსებობოს შემთხვევაში) გამოკითხვას; საგანმანათლებლო პროცესზე დასწრებას და დაკვირვებას; პროგრამის ფარგლებში ვერიფიკაციას. პროგრამის შემოწმების შემდეგ დგება დასკვნა, რომელიც წარედგინება აკადემიის დირექტორს. ავტორიზაციის ექსპერტები გავესაუბრეთ აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსს, რომელმაც წარმოგვიდგინა აღნიშნული პროცედურების გათვალისწინებით შემუშავებული პროგრამების შემოწმების 2023 – 2024 წლის ხარისხის მართვის სამსახურის სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი: შესამოწმებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, შემოწმების ფარგლები და განხორციელების კვარტალი. **ექსპერტთა შეფასებით , ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. აკადემიას შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“, რომელიც ითვალისწინებს: პროგრამის განვითარებას და ცვლილებების განხორციელების შემთხვევებს და ცვლილებების განხორციელების პროცედურას. აკადემიაში ხარისხის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე-განავითარე“ მოდელზე. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება ემსახურება პროგრამის განვითარებას. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, რექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში, რექტორის მოადგილეს პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს. პროგრამაში ცვლილებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------ნ.ვასაძე---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

შეტანის შესახებ სამსახურეობრივ ბარათს თან უნდა დაერთოს ცვლილებების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება და ცვლილებების პროექტი. ასევე ხარისხის მართვის სამსახური ახორციელებს კვლევის შედეგების ანალიზს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროცესების გაუმჯობესების მიმართულებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ აკადემიის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“;
- ✓ აკადემიის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- ✓ აკადემიის ხარისხის სამსახურის და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსებთან გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. აკადემიას შემუშავებული აქვს „კალენდარული გეგმის“ ფორმა. აღნიშნული ფორმის შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმები უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. ასევე დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის. სასწავლო გეგმები აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში საწავლო პროცესი მიმდინარეობს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა და მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელსაც უნდა ფლობდეს პროფესიული სტუდენტი პროგრამის დამთავრებისას. თუმცა , როდესაც ფორს-მაჟორული სიტუაციაა და ვერ ხერხდება სასწავლო გეგმის დაცვა, აკადემია მოქნილად, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით რეაგირებს მსგავს გარემოებებზე. კერძოდ, ეს შეიძლება გამოიხატოს სასწავლო გეგმის ცვლილებაში, სასწავლო პროცესის დისტანციურად დაგეგმვაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ან საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს დამატებითი მეცადინეობები/კონსულტაციები.**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

3. პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი გარემო აღჭურვილია ყველა იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. პროფესიული განათლების მასწავლებლებს სისტემატიურად უტარდებათ ტრენინგები, სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, როგორც პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ, ასევე, აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმძღვანელობით ტარდება ტრენინგები და საკონსულტაციო შეხვედრები, რაც დასტურდება ცნობებით, სერტიფიკატებითა და ტრენინგებზე დასწრების ფურცლებით.აკადემიის პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ითვალისწინებს მასწავლებელთა მომზადების ისეთ მექანიზმებს, როგორიცა დარგის სპეციალისტების მიერ ჩატარებული მასტერკლასების ორგანიზება, პარტნიორ დაწესებულებებში მივლინება და სხვა. სწავლის შედეგები, რომელთა მიღწევა ხორციელდება აკადემიის დარგში წამყვან პარტნიორ კომპანიებში, თავად პრაქტიკის ობიექტები უზრუნველყოფენ დარგის შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით დარეგულირებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმები და პროცედურები, რომლის მიხედვით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების შემთხვევები, შემუშავებაზე პასუხიმგებელი პირები და პროფესიულ სტუდენტთა სავალდებულო ჩართვისა და მათთან შეთანხმების მექანიზმები. განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს როგორც მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას . აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება როგორც სსსმ პროფესიულ სტუდენტთან, ასევე საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის მობილობისას, სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის, მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან: შ.პ.ს. „ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია“; შ.პ.ს. „პროფიუნიტი“ და „ჯორჯიან მანგანეცი“. პრაქტიკის ხელშეკრულებაში განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------ნ.ვასაძე---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

პრაქტიკის ობიექტზე ერთჯერადად მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პირობები. ხელშეკრულებები გაფორმებულია პროგრამის ავტორიზაციის ვადით. აღნიშნული ხელშეკრულებებით პრაქტიკის ობიექტები იღებენ ვალდებულებას, გამოუმუშაონ პროფესიულ სტუდენტებს სწავლის ის შედეგები, რომელიც ხელშეკრულებით არის განსაზღვრული. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. აკადემიას აქვს ქიმიურ/ბიოლოგიურ/ტექნოლოგიურ ლაბორატორიაში მუშაობისას დასაცავი უსაფრთხოების წესები, რაც თვალსაჩინო აკადემიის ტერიტორიაზე განხორციელებული სწავლების ფარგლებში. პროგრამა სპეციფიურ უსაფრთხოებას არ საჭიროებს, პრაქტიკის ობიექტზე კი სპეციფიური უსაფრთხოების საკითხები რეგულირდება მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“-ს ფარგლებში კოლეჯი ხელშეკრულების საფუძველზე თანამშრომლობს სამ კომპანიასთან, შ.პ.ს. „ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია“; შ.პ.ს. „პროფიუნიტი“ და „ჯორჯიან მანგანეცი“; ხელშეკრულება ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკის ერთობლივ განხორციელებას. ვიზიტის დროს კომპანია „ჯორჯიან მანგანეცი“-ს წარმომადგენელთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ კომპანია მზაობას გამოთქვამს პრაქტიკის პერიოდში ერთდროულად 25-25 სტუდენტ-პრაქტიკანტის მიღებაზე, გასაუბრებისას აღინიშნა ისიც, რომ კომპანიაში დასაქმებულია ცხრა უსაფრთხოების სპეციალისტი, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტების გადანაწილებას და მათთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას. აქვე აღინიშნა, რომ ობიექტზე დაშვება მოხდება წინასწარი საშვების დამზადებით, უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჩატარებით და სათანადო ი.დ.ს. ეკიპირებით. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2024 წლის 30 აპრილის #2/51 ბრძანების პირველი მუხლის დ პუნქტით დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიების პროგრამაზე დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებსი შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- ✓ ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან;
- ✓ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, რომელიც შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს N416 დადგენილების შესაბამისად. განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ -წერილობითი გამოკითხვის დროს, დახურული ტიპის კითხვების გამოყენების შემთხვევაში ინსტრუმენტი შეცვლილია, ხოლო პრაქტიკული დავალებების შემთხვევაში დატოვებულია შეფასების იგივე ინსტრუმენტი განმეორებით გამოცდის დროსაც. მარეგულირებელი წესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------ნ.ვასაძე---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

მოიცავს ნამუშევრის გასწორებისა და შეფასების ვადებს. შეფასების სისტემა ეფუძნება სანდოობის, ვალიდურობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია.**

2. აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 47-ე მუხლი მოიცავს ვერიფიკაციის პროცესს, რომლის მიზანია შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულების, შეფასების სისტემის მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. აღნიშნული მექანიზმი ეფუძნება ვალიდურობის,სანდოობის, გამჭირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით, რომელიც განსაზღვრავს ვერიფიკაციის განხორციელების განრიგსა და ვერიფიკატორს ან საჭიროების შემთხვევაში- ვერიფიკაციის ჯგუფს, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის და შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურები. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 41-ე მუხლის მე-4 პუნქტით დარეგულირებულია შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვის, გაფორმებისა და შენახვის პროცედურები, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან; აკადემიის საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქციის შესაბამისად მუშავდება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები და ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით. ექსპერტებთან გასაუბრებისას ხარისხის მენეჯერმა აღნიშნა, რომ მონაცემები აღირიცხება რეგულარულად როგორც მატერიალური ისე ელექტრონული სახით. ჰსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესს, რომლის მიხედვით შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება ხორციელდება ინდივიდუალურად, ხოლო პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

სტუდენტის მხრიდან კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაცია ტარდება კონსულტაციის ფორმისა და მითითებული ვადის გათვალისწინებით. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისთვის, რაც დასტურდება ასევე განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებითაც. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

30.07.2024

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ---------